

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური წერის ცენტრის დებულება

მუხლი 1. დებულების მოქმედების სფერო

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრის მიზნებსა და ამოცანებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, მართვის ორგანოებსა და ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. ცენტრის დებულებას შეიმუშავებს მისი ხელმძღვანელი და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს.

მუხლი 2. აკადემიური წერის ცენტრის სტატუსი

აკადემიური წერის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სივრცეში საგანმანათლებლო, პრაქტიკული და კვლევითი მიზნებისთვის შექმნილი ბიზნესის, ტექნოლოგიისა და ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია. ცენტრის მიზანია აკადემიური წერის მაღალი სტანდარტების დანერგვა უნივერსიტეტის მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევად ცენტრი:

- შეიმუშავებს და თანმიმდევრულად დახვეწს აკადემიური უნარების განვითარების ერთიან კურიკულუმს და კონკრეტულ პროგრამებს სწავლების სამი აკადემიური საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა);
- შექმნის და დახვეწს კონკრეტული აკადემიური საფეხურისა და სფეროსთვის აკადემიური წერის კურსებს, რომლებიც წერის გარდა აუცილებლად მოიცავენ აკადემიურ კითხვას, კრიტიკულ აზროვნებას, აკადემიურ პრეზენტაციას;
- შესთავაზებს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს დახმარებასა და კონსულტაციას, რომ მათი ნაშრომები აკადემიური წერის საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდეს;
- შექმნის აკადემიური წერის/უნარების მასწავლებელთა გუნდს, იზრუნებს თითოეული პედაგოგის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიულ განვითარებაზე;
- მოიძიებს და დანერგავს სწავლების ახალ მეთოდებსა და ტექნოლოგიებს და სისტემატიურად შეაფასებს მათი გამოყენების ეფექტიანობა;
- ჩაერთვება აკადემიური წერის კვლევისა და სწავლების საერთაშორისო ორგანიზაციების ქსელში და მათ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას დაგროვილი ინფორმაციის, გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით.

ცენტრი შექმნილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 3 სექტემბრის 101-ე სხდომის ოქმით და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით 2014 წლის 16 სექტემბრის ოქმი N 6.

მუხლი 3. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზანია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური უნარებისა, და კერძოდ წერის, მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ უნარების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების, მასალების, მასწავლებელთა გუნდის შექმნა და შემდგომი კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

2. ცენტრის ამოცანებია:

- სწავლების სამივე საფეხურისათვის, ქართულ და ინგლისურ ენებზე, აკადემიური წერის მიზნების განსაზღვრა, აკადემიური წერის პროგრამების შექმნა და შემდგომი განვითარება;
- სწავლების მეთოდების, მიდგომებისა და სტრატეგიების განსაზღვრა; სხვადასხვა სახის აკადემიური ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება და ამ სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება;
- აკადემიური წერის/უნარების სწავლებისათვის კვალიფიციური კადრების შერჩევა, აკადემიური წერის პედაგოგთა გუნდის მომზადებისა და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- თანამშრომლობა საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებთან მათი გამოცდილების გაზიარების და აკადემიური წერის სტანდარტების დანერგვის მიზნით. სამუშაო შეხვედრების მოწყობა აკადემიური წერის განვითარების საკითხებზე და ერთობლივ პროექტებში მონაწილეობის მიღება;
- საერთაშორისო თანამშრომლობა აკადემიური წერის სფეროში. რეგიონულ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მიღება გამოცდილების გაცნობისა და გაზიარების მიზნით. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მიღება და აკადემიური წერის ცენტრის საერთაშორისო ორგანიზაციებში/ასოციაციებში გაწევრიანება, ერთობლივ ღონისძიებებსა და პროექტებში მონაწილეობა.

მუხლი 4. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აკადემიურ ერთეულთან თანამშრომლობით მომსახურებას შესთავაზებს უნივერსიტეტის სტუდენტებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და აკადემიურ პერსონალს სამი მიმართულებით:

1.1 საგანმანათლებლო საქმიანობა

1.1.1. აკადემიური წერის ერთიანი პროგრამების შექმნა და განვითარება, რაც უზრუნველყოფს სისტემურ მიდგომას და აკადემიური უნარების (წერა, კითხვა, კრიტიკული აზროვნება, პრეზენტაცია) სწავლების კოორდინირებას. ეს პროგრამები უნდა

ითვალისწინებდეს აკადემიური უნარების არა მხოლოდ ერთჯერად, არამედ თანმიმდევრულ, უწყვეტ სპირალურ სწავლებას (პროცესი იწყება საბაზისო ცოდნის მიცემით და შემდგომ თანდათანობით უკვე მიღებულ ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენებით უნარის თანდათანობით განვითარება) კონკრეტულ აკადემიურ საფეხურზე.

1.1.2. ცენტრი სთავაზობს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ყველა სპეციალობის სტუდენტს აკადემიური წერის სწავლებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.

იმოქმედებს სწავლების და აკადემიური უნარების განვითარების სხვადასხვა ფორმა:

- ლექცია-სემინარები: ექსტენსიური, მთელი სემესტრის მანძილზე სასწავლო კურსი ფიზიკურ გარემოში (განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია დისტანციური მომსახურება)
- კოსულტაციები: ფიზიკურ გარემოში ან დისტანციურად, ინდივიდუალური (ერთი-ერთზე) ან მცირე ჯგუფში;
- ჯგუფურ სემინარები: წინსწარ განსაზღვრულ თემებზე ან კონკრეტული საკითხის/საკითხების მოთხოვნით მიხედვით. ამ დროს შეძლებისდაგვარად სრულად არის გათვალისწინებული მსმენელთა საჭიროებები;
- მოკლე ინტენსიურ ან სასერტიფიკატო კურსებს აკადემიურ წერასა და პრეზენტაციის უნარის განვითარებაში;
- მასტერკლასები, სამუშაო შეხვედრები აკადემიური წერისა და კონკრეტული უნარების განვითარებისა და დახვეწის მიზნით.

1.1.3 ყოველივე ამის შედეგად სტუდენტი შეძლებს:

- უკეთ გაიაზროს წერიტი დავალება, იქნება ეს კვლევის ანგარიში, საშინაო ნაშრომი, კრიტიკული ნაშრომი, ლიტერატურის მიმოხილვა, ლაბორატორიული კვლევის ანგარიში და სხვა;
- მიიღოს დახმარება იმ ჟანრის/ფორმატის ნაწერის შექმნაში, რასაც მისი პროფესიული კონტექსტი მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს რეზიუმე, სამოტივაციო წერილი, სააპლიკაციო წერილი;
- ისწავლოს სამეცნიერო წყაროების მოძიება, მათი დამუშავება და მიმდინარე სამეცნიერო ცოდნის სათანადოდ ასახვა საკუთარ აკადემიურ ნაშრომში;
- ისწავლოს, თუ როგორ მოამზადოს, დაწეროს და დახვეწოს საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომი ან მოამზადოს სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად;
- განავითაროს პრეზენტაციის უნარი, მოამზადოს გამოსვლა კონფერენციისათვის, სწორად შეადგინოს სლაიდები და საილუსტრაციო მასალა, დახვეწოს კითხვის დასმის და პასუხის უნარი.

1.1.4 ინდივიდუალური კონსულტაციები ორიენტირებულია კონკრეტული სტუდენტის საჭიროებებზე; ინტერაქტიური სემინარები და კურსები არის აკადემიური წერის ზოგად და კონკრეტულ პრინციპებზე აგებული.

1.1.5 ცენტრის საბოლოო მიზანია დაეხმაროს სტუდენტს საკუთარი იდეების უკეთ და ჩამოყალიბებასა და გადმოცემაში აკადემიური სტილის მოთხოვნების სრული გათვალისწინებით.

1.2 პრაქტიკული საქმიანობა

ცენტრი მუშაობს უნივერსიტეტის თანამშრომლების დასახმარებლად, ქართულ და ინგლისურ ენებზე მათი აკადემიური წერის უნარისა დასახვეწად.

- როგორ შეადგინონ და შეაფასონ წერითი დავალებები;
- როგორ ჩართონ წერის კომპონენტი თავიანთი საგნობრივი კურსის სწავლების პროცესში;
- როგორ მოამზადონ საგრანტო განაცხადი, სტატია, საკონფერენციო გამოსვლა;
- როგორ გადალახონ ინგლისურ ენაზე აკადემიურ წერასთან დაკავშირებული ენობრივი, სტილისტური თუ ლექსიკური სირთულეები;
- როგორ მოამზადონ საკუთარი ნაშრომის რეზიუმე საერთაშორისო რეცენზირებისათვის;
- როგორ გააფორმონ საკუთარი ნაშრომი, რომელიც უნივერსიტეტის ლოგოს მიწიქებით გამოიცემა.

1.3 ადამიანური რესურსების მოზიდვა და განვითარება, შეფასება და კვლევითი საქმიანობა

- ქართულ და ინგლისურ ენებზე აკადემიური წერის სწავლა-სწავლების მდგომარეობის თავდაპირველი შეფასება და კვლევა და შემდგომი თანმიმდევრული მონიტორინგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურებზე;
- აკადემიური წერის მასწავლებელთა კადრების მოზიდვა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე მუდმივი ზრუნვა. ამ საქმეში აქტიურად იქნება გამოყენებული ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება;
- უნივერსიტეტის თანამშრომელთა აკადემიურ წერასთან დაკავშირებული საჭიროებების განსაზღვრა და სათანადო დახმარების შეთავაზება;
- ახალი ტექნოლოგიების, მეთოდების და სტრატეგიების დანერგვა აკადემიური წერის სწავლების პროცესში, მათი ეფექტიანობის შეფასება და განვითარება.

მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა

5.1 ცენტრი შედგება დირექტორის, მისი თანაშემწისა და კოორდინატორისგან.

5.2 ცენტრის პედაგოგიური კადრი შედგება 50-ზე მეტი მოწვეული მასწავლებლისგან.

ცენტრის სასწავლო კურსებს წარმართავენ აკადემიური წერის ცენტრის მიერ შერჩეული და უნივერსიტეტის ოთხი ფაკულტეტის მიერ მოწვეული მასწავლებლები. მათი მოწვევა ხდება ყოველსემესტრულად. ესენი არიან სხვადასხვა სფეროს (ფილოლოგები, იურისტები, ფიზიკოსები, ბიოლოგები, მათემატიკოსები, ლიტერატურათმცოდნეები, ფსიქოლოგები, ეკონომისტები, ბიზნესის მართვის სპეციალისტები) სულ მცირე მაგისტრის ხარისხის მქონე პედაგოგები. მათი საქმიანობა ემორჩილება დებულებით განსაზღვრულ მისიას, მიზნებსა და მიმართულებებს.

მუხლი 6. ცენტრის მართვის ორგანოები და მათი ფუნქციები

1. ცენტრის მართვის ორგანოებია: ცენტრის დირექტორი დირექტორის თანაშემწე და კოორდინატორი. ცენტრის დირექტორი და მისი თანაშემწე იღებენ გადაწყვეტილებას ყველა ადინისტრაციულ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხზე. ცენტრის

სასწავლო პროცესის მართვა ხდება კოლეგიურ პრინციპებზე დაყრდნობით. აქ იგულისხმება, რომ ცენტრის დირექტორთან და მის თანაშემწესთან ერთად, მოწვეული მასწავლებლები მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში, ცენტრის აქტივობებისა და ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარებაში, კურსის სილაბუსთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და დამუშავებაში, სასწავლო მასალის მოზადებაში; ცენტრის საინფორმაციო და სარეკლამო ღონისძიებების მომზადებასა და განხორციელებაში. საჭიროების შემთხვევაში ყალიბდება დროებითი სამუშაო ჯგუფები კონკრეტული საქმიანობის ჩასატარებლად.

2. ცენტრის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი;
3. ცენტრის დირექტორი:
 - ა) ხელმძღვანელობს ცენტრის საქმიანობას;
 - ბ) ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს განსახილველად წარუდგენს ცენტრის აკადემიური წერის სილაბუსებთან დაკავშირებული ცვლილებების ანგარიშს საჭიროების მიხედვით;
 - დ) ცენტრის დირექტორი ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს წარუდგენს გაწეული საქმიანობის ანგარიშს მოთხოვნისამებრ.

მუხლი 7. სამუშაო შეხვედრები ცენტრის მასწავლებლებთან:

1. ცენტრი მოწვეულ მასწავლებლებთან სემესტრის განმავლობაში გამართავს, სულ მცირე, სამ შეხვედრას (საჭიროების შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი შეხვედრა) და ასევე სემესტრის ბოლოს ინდივიდუალურ შეხვედრებს;
2. ცენტრის მასწავლებელთა საერთო შეხვედრებზე (რომლებიც ზოგჯერ ორჯერადად ტარდება) განიხილება და შემუშავდება რეკომენდაციები დირექტორის მიერ წარმოდგენილ ცენტრის სამეცნიერო-პედაგოგიური თუ კვლევითი საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 8. ცენტრის პერსონალი

1. ცენტრს ჰყავს აკადემიური პერსონალი (დირექტორი), მოწვეული მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი (თანაშემწე და კოორდინატორი);
2. ცენტრის პერსონალის შრომითი ფუნქციები გაწერილია მათ შრომით კონტრაქტში.

მუხლი 9. ცენტრის გარდაქმნა და გაუქმება

ცენტრის გარდაქმნისა და გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

მუხლი 10. დებულებაში ცვლილებების ან/და დამატების შეტანის წესი

1. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანისათვის მოქმედებს მისი მიღებისათვის არსებული წესი;
2. დებულებაში ცვლილების ან/და დამატების შეტანის შესახებ პროექტი უნდა იყოს დასაბუთებული და ასახავდეს ცვლილების ან/და დამატების შეტანის აუცილებლობას.